დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

მარტი, 2023

საქართველოს ელჩის შეხვედრა მენდოსის პროვინციაში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან

2-5 მარტს, მენდოსის პროვინციაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გვარამ ხანდამიშვილი არგენტინაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი უკვე 25 წელზე მეტია ცხოვრობს მენდოსის პროვინციაში და მოღვაწეობს კუიოს ეროვნულ უნივერსიტეტთან არსებულ სიმფონიურ ორკესტრში. ამასთან, ქართულ დიასპორას აქტიური და ღირებული წვლილი შეაქვს მენდოსის კულტურულ ცხოვრებაში და ღირსეულად წარმოაჩენს საქართველოს.
შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა დიასპორის წარმომადგენლებს საელჩოს მხრიდან მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის მზაობა.

ქ. ეპეში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა

4 მარტს, ნიდერლანდების სამეფოს ქ. ეპეს ისტორიულ ტაძარში (Grote Kerk), საქველმოქმედო ფონდი „იმედის” ხელმძღვანელის, ხატია ხაბულიანის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების ქართველი და ნიდერლანდელი ლაურეატები, მათ შორის, პიანისტები - ნინო გვეტაძე, ნინო ხუციშვილი, ლილიან ვოსენი და მევიოლინეები - ნატალია გაბუნია, ვაუტერ ვოსენი.
კონცერტზე მსოფლიო კლასიკის შედევრები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა. ადგილობრივ მსმენელთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში, დავით სოლომონია, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. კონცერტს ჰქონდა საქველმოქმედო ხასიათი. ღონისძიებიდან შემოსული თანხა რუსთავის მოხუცებულთა თავშესაფარს გადაეცა.

ვიცე-კონსულის შეხვედრა ქ. პეტროზავოდსკის ქართულ დიასპორასთან

4 მარტს, კარელიის რესპუბლიკაში, ქ. პეტროზავოდსკში, რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ვიცე-კონსულმა, გოჩა გოჩაშვილიმა შეხვედრა გამართა კარელიის რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული კულტურის საზოგადოების“ ხელმძღვანელთან - ნაზიბროლა ჩიჩუასთან და ქ. პეტროზავოდსკში მცხოვრებ ქართული დიასპორის წევრებთან. ვიცე-კონსული დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა მათთვის აქტუალურ საკითხებზე.
შეხვედრის დასრულების შემდეგ, ვიცე-კონსულმა, ქართული დიასპორის წევრებთან ერთად, მოინახულა რუსეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ნათელა თოიძის ნამუშევრების გამოფენა - „სინათლის ფერი.“

ქ. ლონდონში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

9 მარტს, ქ. ლონდონში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქათველოს საელჩოს ინიციატივით, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.
შეხვედრას ესწრებოდნენ დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სოფიო ქაცარავა, ქალთა გაძლიერების საერთაშორისო ორგანიზაციის ფუძემდებელი, ელიზაბეტ ფილპოული და ქართული დიასპორის წარმომადგენელი წარმატებული ქალბატონები, რომლებიც განათლების, მეცნიერების, კულტურის, ბიზნესისა და სამედიცინო სფეროებში საქმიანობენ.
საქართველოს ელჩმა ისაუბრა ქალთა გაძლიერების მნიშვნელობაზე და მადლობა გადაუხადა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს მათი საქმიანობისთვის.

ქ. ატლანტაში ქართული კულტურის ფესტივალი - „საქართველოს სული 2023” გაიმართა

11 მარტს, ქ. ატლანტაში, ევროპული გამოცდილების ქართული ცენტრის (Georgian Center of the European Experience “GCEE”) პრეზიდენტის ნინა კიკნაძის ორგანიზებითა და ქ. შუგარ ჰილის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ქართული კულტურის ფესტივალი - „საქართველოს სული 2023”.
დღესასწაული დაძმობილებულ ქალაქებს, ატლანტასა და თბილისს, შორის ხელშეკრულების ხელმოწერის 36 წლის იუბილეს მიეძღვნა.
ღონისძიების ორგანიზატორს, ნინა კიკნაძეს და ქალაქ შუგარ ჰილის მერს, ბრენდონ ჰემბის ჯორჯიის შტატის ბრწყინვალების მედალი გადასცა თავდაცვის დეპარტამენტის გენერალ-ადიუტანტმა, გენერალ-მაიორმა თომას კარდენმა.
ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ: ქ. ნიუ იორკის ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“, ნინი წიკლაური, ირაკლი რუსია, ბექა გოგინაშვილი, ლელა ნინუა, ია გაბაშვილი, ოლეგ ოსეფაიშვილი, გია ლომსაძე, სოსო ზანგალაძე, ნოდარ ხოხობაშვილი, მალხაზ რატიანი, ნინო კორძაძე, ლალი ხარებავა, მანანა სახვაძე-კლიგმანი, ცისანა ქავთარაძე და დევი ზალდასტანიშვილი.

ქ. ათენში ბერძნულ-ქართული საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა

11 მარტს, ქ. ათენში, თეატრ „კნოსოსში”, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით ბერძნულ-ქართული საქველმოქმედო კონცერტი - „კერკირული და ქართული ხელოვნების დიალოგი ათენში“ გაიმართა.
კონცერტზე წარმოდგენილი იყო ქართულ-ბერძნული ფოლკლორი და ასევე საესტრადო ნომრები.
კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე და საელჩოს სხვა თანამშრომლები.

დანიის ქართული დიასპორის წევრებმა “Unge Spiller Klassisk” კონკურსში საპრიზო ადგილები დაიკავეს

11-12 მარტს, ქ. ვორდინგბორგში ჩატარდა დანიის მოზარდთა კლასიკური მუსიკის ყოველწლიური კონკურსი - “Unge Spiller Klassisk”..
წლევანდელ კონკურსში საპრიზო ადგილები დაიკავეს დანიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ელენე წაქაძემ და არჩილ წაქაძემ. ელენე წაქაძემ მიიღო პირველი კატეგორიის პრიზი ვიოლინოში, ხოლო არჩილ წაქაძემ - მეორე კატეგორიის პრიზი ფორტეპიანოში.
კონკურსი მიზნად ისახავს 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენას და წახალისებას. კონკურსისათვის ყოველწლიურად 100-120 მოზარდი შეირჩევა, რომელთა შორისაც პროფესიონალი მუსიკოსებისაგან შემდგარი ჟიური გამოარჩევს 8 საუკეთესოს. ელენე წაქაძე მოხვდა 8 საუკეთესო შემსრულებელს შორის, რომელიც დანიის კამერულ ანსამბლ Storstrøm-თან ერთად წლის განმავლობაში სოლო კონცერტებს გამართავს.

საკვირაო სკოლა ,,ლაზარეს“ მოსწავლეებმა გაერთიანებული ერების კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა

13 მარტს, ნიუ-ჯერსის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიასთან არსებული ქართული სკოლა ,,ლაზარეს" ორმა მოსწავლემ - ლუკა ჭეიშვილმა და იოანე ქორჩილავამ მონაწილება მიიღო გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონფერენციაში.
გაეროს მოდელირების პროექტში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს მასშტაბით 5000 მოსწავლე. ქართველი ახალგაზრდა დელეგატები აქტიურად იყვნენ ჩართულები გაეროს მოდელირების პლენარულ სხდომებსა და დისკუსიებში. დაიწერა 8 რეზოლუცია. საბოლოოდ მიღებული ორი რეზოლუციიდან, ერთ-ერთი საკვირაო სკოლა „ლაზარეს“ მოსწავლეების მიერ შემუშავებული დოკუმენტი იყო. იოანე ჭეიშვილი და ლუკა ქორჩილავა გაეროში საქართველოს სახელით გამოდიოდნენ.

,,ივერონის” წევრების შეხვედრა ქ. ათენში თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან

15 მარტს, ქ. ათენში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ივერონის” ხელმძღვანელმა ნატალია კაპანაძემ ორგანიზაციის წევრების სახელით ჰუმანიტარული დახმარება გადასცა საბერძნეთის რესპუბლიკაში თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას. დახმარება განკუთვნილია თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის.

„ივერიონის“ წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს თურქეთის კონსულთან საბერძნეთში, ერდემ კუტლუსთან (Erdem Kutlu) და საკონსულოს თანამშრომლებთან. მხარეებმა ისაუბრეს თურქეთ-საქართველოს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე.

ანსამბლმა „ქართული რითმები“ წმ. პატრიკის აღლუმში მიიღო მონაწილეობა

17-18 მარტს, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, წელს პირველად ქართულმა დიასპორამ მონაწილეობა მიიღო წმ. პატრიკის აღლუმში. აღლუმზე სპეციალური დადგმით წარსდგა დუბლინში არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი „ქართული რითმები", რომელსაც ხელმძღვანელობს ლაშა საბაშვილი.

თბილისი, როგორც დუბლინთან დამეგობრებული ქალაქი, 2015 წლიდან ჩაერთო ირლანდიის ტურიზმის სააგენტოს კამპანიაში „Global Greening“ და ყოველწლიურად ამწვანებს თბილისის სატელევიზიო ანძას და მეტეხის კლდეს, რასაც ყოველწლიურად აშუქებს ირლანდიის ტურიზმის სააგენტო „Tourism Ireland” და საზოგადოებრივი მაუწყებელი „RTÉ“. ეს ყოველივე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს ცნობადობის გაზრდას ირლანდიაში და ემსახურება ორი ქვეყნის პარტნიორობისა და მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების მიზანს.

ქ. ათენში ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა „გრძნეულთა საქართველო“ გაიმართა

17, 18 და 19 მარტს, ქ. ათენში, გალერეა „MegArt“-ში მოეწყო ქართველი მხატვრების: ანა დედაბრიშვილის, ანი გემაზაშვილის (GEMA), თამთა თოიძის, თამარ თოიძის და სოფია ბელთაძის გამოფენა სახელწოდებით „გრძნეულთა საქართველო".
გამოფენას ეწვივნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე, პირველი მდივანი ანი უძილაური, ხელოვნების ქართველი და ბერძენი მოყვარულები.



ანსამბლ „ჯორჯიას“ აღსაზრდელებმა მადრიდის საქველმოქმედო გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა

18 მარტს, ქ. მადრიდში, საერთაშორისო დიპლომატთა ასოციაციის „AIDE“ ორგანიზებით საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ღონისძიების გახსნით ცერემონიალზე მაყურებლის წინაშე ქართული საცეკვაო ნომრებით წარსდგნენ მადრიდში არსებულ ცეკვის აკადემია “ჯორჯიას” აღსაზრდელები.
წლევანდელ გამოფენაზე, რომელსაც ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველოს ელჩის მეუღლე ელენე ბრეგვაძე ხელმძღვანელობდა, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩომ წარმოადგინა ქართული კომპანიებისა და ქართველი ხელოვანი ოსტატების მიერ დამზადებული პროდუქცია და ხელნაკეთი ნივთები, ხოლო გაყიდვებით შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა დედოფალი სოფიას პატრონაჟით არსებულ საქველმოქმედო ფონდ “Fundacion Reina Sofia”-ში.

ქ. ათენში „დიონისეს“ თეატრალური დასის სპექტაკლის ჩვენება გაიმართა

19 მარტს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს" თეატრალურმა დასმა, რომელსაც თამარ სამხარაძე ხელმძღვანელობს, მორიგი წარმატებული სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“ წარადგინა ქართველი და ბერძენი მაყურებლის წინაშე.
სპექტაკლი გაიმართა ქართულ-ბერძნული კულტურული ორგანიზაცია „ათინათი 60"-ის ხელმძღვანელის, იზო დაშნიანს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ლამარიას" ხელმძღვანელის, ლიგია მუშკუდიანს და ინტერნეტ ტელევიზია „ემიგრანტ ტვ"-ის ხელმძღვანელის, ლევან ბალიაშვილს მხარდაჭერით.
წარმოდგენას ასევე ესწრებოდნენ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგნელებები.

ქ. ტაშკენტში გაზაფხულის შემოსვლის დღესასწაული - ნოვრუზი აღინიშნა

21 მარტს, ქ. ტაშკენტში გაზაფხულის შემოსვლის დღესასწაული, ნოვრუზი აღინიშნა. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო უზბეკეთის ქართული კულტურის ცენტრმა „მეგობრობა". დიასპორის წევრებმა ქართული ნაციონალური სუვენირებითა და სიმბოლიკით მორთული „ქართული კუთხე“ მოაწყვეს. ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულზე მისულ მრავალრიცხოვან სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართული ენისა და საქართველოს მდიდარი კულტურის ამსახველ ბროშურებს, წარმოდგენილ ნაკეთობებს, დაეგემოვნებინათ დიასპორის წევრების მიერ მომზადებული ქართული კერძები. სადღესასწაულო ღონისძიების ფარგლებში, დიასპორის წევრებმა, ასევე, წარმოადგინეს რამდენიმე მუსიკალური და საცეკვაო ნომერი.
ღონისძიების დროს შედგა ქართული დიასპორის წარმომადგენლების პირველი შეხვედრა უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შავკატ მირზიოევთან. სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე, ქვეყნებს შორის არსებული უზარმაზარი ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის განვითარების შესახებ.

ელგა ფორჩხიძემ და გუნდმა „მარანი“ მონაწილეობა მიიღეს ფრანკოფონიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში

21-22 მარტს, ქ. პარიზში, ქართულ-ფრანგულმა პოლიფონიურმა გუნდმა „მარანი“, ტარიელ ვაჩაძის ხელმძღვანელობით და პარიზში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა, ელგა ფორჩხიძემ მონაწილეობა მიიღეს იუნესკოს შტაბ-ბინაში გამართულ ფრანკოფონიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ტრადიციული კერძებისა და ღვინის დეგუსტაცია.

„ახალგაზრდა ელჩის“ ონლაინ შეხვედრა საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის ელჩთან და სალომე ადამიასთან



24 მარტს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2022 წლის გამარჯვებულის, მარიამ რურუას ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ შეხვედრა საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის ელჩთან, ტომას მიულმანთან და ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დამფუძნებელთან - სალომე ადამიასთან.
ტომას მიულმანმა შეხვედრისას ხაზი გაუსვა საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარების ისტორიულ მნიშვნელობას, რაც გადამწყვეტი ნაბიჯია საქართველოს ევროპულ ოჯახში გაწევრიანების გზაზე. მან მკაფიო მხარდაჭერა გამოთქვა ქართველი ახალგაზრდების პროფესიული განვითარების პროცესის მიმართ, კერძოდ, ისაუბრა ავსტრიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის - „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის" შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების სამეწარმეო ცოდნისა და უნარების გაზრდას.
სალომე ადამიამ ისაუბრა ავსტრიის სამშვიდობო საზოგადოების დამფუძნებლის, პუბლიცისტის, მშვიდობის დარგში პირველი ქალი ნობელიანტის - ბერტა ფონ ზუტნერის მოღვაწეობის შესახებ. მან, ასევე, ხაზი გაუსვა ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის პირველი საერთაშორისო მშვიდობის პრემიის მნიშვნელობას, რომელიც ყოველ წელს იმართება ქ. ზუგდიდში. აღნიშნული პრემია მიზნად ისახავს მშვიდობის მშენებლობისა და განმტკიცების პროცესში ჩართული აქტივისტების შრომის დაფასებას, სამშვიდობო ხედვების აქტუალიზებას და ნდობის მშენებლობის საქმეში ახალგაზრდების წახალისებას.

ქ. ჰააგაში ნიდერლანდური ფოლკლორული კვარტეტის - „ქართული ანსამბლი“ წარდგენა გაიმართა

24 მარტს, ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოში, ფოლკლორული კვარტეტის - „ქართული ანსამბლი“ წარდგენა გაიმართა. ანსამბლს ხელმძღვანელობს ქართველი მუსიკოსი, დირიჟორი, ქეთევან წიკლაური.
მუსიკალური საღამოს გახსნით ნაწილში დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართულმა ხალხურმა მუსიკალურმა შემოქმედებამ და ტრადიციულმა მრავალხმიანობამ გაამდიდრა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური.
კონცერტზე კვარტეტმა შეასრულა, როგორც ქართული ხალხური პოლიფონიის ნიმუშები, ასევე სხვადასხვა კომპოზიტორთა საავტორო ნაწარმოებები.
მუსიკალური ნაწილის პარალელურად, აუდიენცია გაეცნო ქართული ფოლკლორული მუსიკის შესახებ მოკლე მიმოხილვას, რომელიც პრეზენტაციის სახით, საელჩოს მრჩეველმა, ხუტა სალიამ წარადგინა.

ქ. ნიუ-იორკში ქართველი მხატვრის ლეილა მჭედლიშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

25 მარტს, ქ. ნიუ-იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრში - „Dancing Crane Company“, რომელსაც ვიქტორ და ლიკა სირელსონები ხელმძღვანელობენ, გაიმართა აშშ-ში მოღვაწე ქართველი მხატვრის ლეილა მჭედლიშვილის ნამუშევრების გამოფენა.
საღამოში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მომღერალმა გოჩა აბულაძემ, პოეტმა და პროზაიკოსმა ნათია ხადურმა, პოეტმა ლელა ნინუამ, გიტარისტმა გია ფეიქრიშვილმა და ტრიო „მაგნოლიამ".

ქ. ეპპელჰაიმში „საქართველოს მოედნის“ საინფორმაციო დაფა გაიხსნა

25 მარტს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე, ქ. ეპპელჰაიმში მდებარე „საქართველოს მოედანზე“ საზეიმოდ გაიხსნა აღნიშნული მოედნის საინფორმაციო დაფა.
საინფორმაციო დაფა, მოწვეული სტუმრების თანდასწრებით, გახსნეს ქ. ეპპელჰაიმის მერმა, პატრიცია რებმანნმა და ქ. შტუტტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსულმა, ზაქარია მეგრელიშვილმა.
საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ, ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწის გარემოს, ენერგიისა და კლიმატის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, დოქტ. ანდრე ბაუმანნი, ქ. ეპპელჰაიმში ლუთერანული ეკლესიის გაერთიანების წარმომადგენელი მარტინ გრამმი, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, კულტურისა და განათლების სფეროში დიასპორული გაერთიანების - „Georgica e.V” წევრები, ასევე, და ქართული დიასპორის სხვა წარმომადგენლები.
საქართველოს მოედნის შესახებ საინფორმაციო დაფის გახსნა საზეიმოდ აღინიშნა Rudolf-Wild-ის სახელობის დარბაზში, სადაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. ეპპელჰაიმის მერმა, პატრიცია რებმანნმა და საქართველოს კონსულმა, ზაქარია მეგრელიშვილმა.
ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ქართველმა პიანისტმა, ეკატერინე კინწურაშვილმა და აკორდეონისტმა, იაკუტ ხიმშიაშვილმა.

ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შეიმეცნე შენი სამშობლო“

26 მარტს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ხელმძღვანელის, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ინიციატივით, ზუმის ფორმატში ჩატარდა რიგით მე-8 ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სახელწოდებით „შეიმეცნე შენი სამშობლო". კონფერენციის თემატიკას წარმოადგენდა მედიცინის საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების „ახალგაზრდა დელეგატები“.

ქ. ათენში ნიკო გომელაურის სახელობის ქართული თეატრალური დასი დაფუძნდა

28 მარტს, ქ. ათენში ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზში“ ნიკო გომელაურის სახელობის ქართული თეატრალური დასი დაფუძნდა.
თეატრი მაყურებლის წინაშე წარდგა ირლანდიელი დრამატურგის, სემუელ ბეკეტის პიესით „გოდოს მოლოდინში“.
პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის” თანადაფინანსებით განხორციელდა.
სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია საგრანტო პროგრამის გამარჯვებული, პროექტის ავტორი, თეატრის დამფუძნებელი, ქ. ათენში მოღვაწე ქართველი რეჟისორი და მსახიობი, ნიკოლოზ ტყავაძე.
სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ ქ. ათენში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ქართველი და ბერძენი მაყურებელები.
სპექტაკლის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ. მან მიულოცა საზოგადოებას ქართული თეატრის დაფუძნება და დასს წარმატება უსურვა. ასევე, ყურადღება გაამახვილა ქართული კულტურის პოპულარიზაციის, აგრეთვე საზღვარგარეთ ქართული დიასპორის განვითარებისა და გაძლიერებისთვის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის” საგრანტო პროგრამების მნიშვნელობაზე.

რუსლან აბაშიძე ქ. რომში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

29 მარტს, რომის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რუსლან აბაშიძემ და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა, ნანა გაბელიამ.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნეს იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, კონსტანტინე სურგულაძემ და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა წმინდა საყდართან (ვატიკანი), ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონმა.

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული, დიასპორისა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები და სამომავლო ღონისძიებები გააცნო. ნანა გაბელიამ დევნილ ემიგრანტებს ქართული დიასპორებისთვის სპეციალურად შექმნილი საკომუნიკაციო ონლაინ პლატფორმა წარუდგინა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმებს. მონაწილეებმა ასევე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავებას, ერთობლივი ღონისძიებების და ქართულ-აფხაზური კულტურული შეხვედრების ორგანიზებას.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში ემიგრაციაში მცხოვრები საზოგადო მოღვაწის, გიორგი აფხაზის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ანიმაციის ჩვენება გაიმართა.

ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა პროგრამის „დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა“ ფარგლებში მინისტრის აპარატის ორგანიზებით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. შეხვედრაში იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი გაბედავა მონაწილეობდა.

ქ. ვენაში ქართველი საბავშვო მწერლის, ირინე მამიაურის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

31 მარტს, ქ. ვენაში, Bezirksmuseum Neubau-ში, დიასპორული ორგანიზაციის - „ავსტრიის ქართული სათვისტომოს“ ინიციატივითა და ორგანიზებით ავსტრიაში მცხოვრები ქართველი საბავშვო მწერლის, ირინე მამიაურის წიგნის - „მზის ქოხი“ პრეზენტაცია გაიმართა.
საღამო საინტერესო და ინტერაქტიულ ფორმატში წარიმართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობა.

ქ. ბერლინში დემეტრე გამსახურდიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა

31 მარტს, ქ. ბერლინში, საქართველოს საელჩოში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღის აღსანიშნავად, ჩატარდა ქართველი მუსიკოსის დემეტრე გამსახურდიას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ დიასპორის, აკადემიური და კულტურული წრეების წარმომადგენლები.
დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ლევან იზორიამ, რომელმაც რეფერენდუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და საზოგადოებას ახალგაზრდა კომპოზიტორი გააცნო.
სტუმრებს, აგრეთვე, მიმართა დესპანმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს დღეზე ისაუბრა.
დემეტრე გამსახურდიამ შეასრულა შვეიცარიის მთებში შექმნილი კომპოზიცია, სათაურით „მიკარება“.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO